სახალხო გაზეთი

№ 278 პარასკევი, 15 აპრილი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 278

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

„სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროისთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. მ.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆

◆ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

შაბათს, 16 აპრილს, სამების ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დეკანოზის ქვრივის

ნინო პეტრეს ასულის არდაზიანის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **შვილები განსვენებულისა**. წირვა დაიწყება 9½ ს., ხოლო პანაშვიდი 11 საათზე. (1—555—1)

ნინო, მარიამი, ოლღა, ანეტა, სანდრო და დათა კარსაძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი—შვილისა, მეორე—მაზლისა, ხოლო დანარჩენთა—ძმის

კორნელი (ნელი) ილარიონის ძე კასრაძის

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მიხეილის საავადმყოფოდან დღეს, პარასკევს, 15 აპრილს, დილის 9 საათზე. წირვა და ანდერძის აგება წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესია'ში. დაკრძალვა იქვე. (1—1)

ქართული თეატრი

შაბათს, 16 აპრილს, ი. გრიშაშვილი

ქართველ მწერალთა **დახმარებით და ბარბარე რონელისა და ოლღა ლეჟავას მონაწილეობით**

დასდგამს ქართულ წარმოდგენას:

წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა:

„ღალატი“

ისტ. ლეგენდა 5 მოქმ., თარგ. გრ. ყიფშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ:

ბ. რონელი—ზეინაბი.

ნ. კონსიოტი—რუქაია.

ოლ. ლეჟავა—გაიანე.

განდეგილი—ისახარი.

ბ. კორინთელი—მაიკო.

თამგუნა—სოლეიმან-ხანი.

ი. ელეფთერიძე—ოთარ-ბეგი.

გრ. ყიფშიძე—ანანია გლახა.

სგ. ყიფიანი—დათო.

ვალიკო გურული—ერეკლე.

ალ. ყანჩელი.—საბა-ბერი.

სოფ. მგალობლიშვილი—ბესო.

გ. ახალცახელი—გიგა.

ამირეჯიბი—ყარ-უსუფი.

ქ. თუმანიშვილი—ალ-რაზაკი.

ადგილ. ფასი საბენეფისოა. ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში. **დასაწყ. სად. 8 ს.**
მთავარი რეჟისორი **ვ. გუნია.** სამხატვრო ნაწილის გამგე **ი. ნიკოლაძე.**
ადმინისტრატორი **პართენ გოთუა.** (7—1218—4)

ქართული თეატრი

იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენა. პარასკევს, 15 აპრილს 1911 წ.
ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

პატარა კახი

ისტორ. დრ. 5 მოქ. აკაკისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ლეჟავა, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: არადელი, გუნია, გვარამძე, ივანიძე, ყიფიძე, ზარდალიშვილი, მდივანი, მატარაძე, მამფორია, საფაროვი, ციციშვილი, მალიკაშვილი.

ადგილების ფასი ერთი-ხამად დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
(1—1217—1) რეჟისორი **ვ. გუნია.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან.
ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

კარშინა ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვა ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ორემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვა რ. ზ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. **დროებით წასულია.**

პაპოვა ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

სობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაქველი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606“-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეძავათ. საფასურით. (წ.—1089—441)

კანტორა აცხადებს, რომ ხელის-მომწერთ, რომელთაც ხელის-მოწერის ფული 1 იანვრიდგან მხოლოდ 3 მან. აქვთ შემოტანილი,

გაზეთის გზავნა მოესპოგათ 20 აპრილიდგან.

გამოვიდა და იყიდება არჩილ ჯორჯაძის

თხზულებათა პირველი წიგნი:

„ეროვნულ პრობლემის გარშემო“.

ხელის-მომწერთ უნდა მიჰმართონ წიგნის მისაღებად საცა ხელი მოაწერეს. გასაყიდათ წიგნი ღირს 75 კ. (280 გვ.).

ტფილისში წიგნები იყიდება წერა-კითხვ. საზ. მაღაზიაში და „ახალი სიტყვა“-ს („Новая Рѣчь“) **წიგნის მაღაზიაში, სახაზინო თეატრის პირდაპირ. ქუთაისში:** მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. (3—10)

გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „ახალი საქმე“, „სინათლე“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონი“, „სურანდაკი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „სალამური“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ქიათურასა, გორსა, ბაქოს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დ[illegible] თირბენდისა.

მი[illegible] ლისი, ქუთა-[illegible]

ცნობილი პირველ ხარისხ[illegible]

ს. ხრისტოდულიდისი

აცნობებს მებრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

ი. გოკიელოვი და შვ.—ბი, სავ. სახ. ქუთაისში

და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ქიის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—29)

სამურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—24)

ავჭალის სახალხო აუდიტორია.

შაბათს, 16 აპრილს, სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ წარმოდგენილი იქნება ი. გუნიას 5 მოქმედ. ისტორიული დრამა **„და-ძმა“**. მონაწილეობენ ქ-ნნი: ნეპიერიძე და ს. რომანიშვილი. ბ-ნნი: გელიკურაშვილი, მაჭავარიანი, მელაშვილი, გაზელი, პეპანოვი, ხალაყაია, მამამია, მხელაშვილი, ჯაბაური და სხვანი. ბილეთები იყიდება კასაში ყოველ დღე 5—8 ს. ფასი 5—20 კ. დასაწყისი საღ. 8 საათ.

მორიგი წევრი **ვ. დურგლიშვილი.**

შემდეგისათვის მზადდება «უდანაშაულოთ დასჯილნი», ოსტროვსკისა. (2—1124—1

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაბაიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

გ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით. (შო.—1090—37)

ექიმი ქუთაისში, ს. ი. ვოლოხი

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჰელქოანისა და საყმაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისთანავე ეგზანებათ საგანგებო შეხაკვეთში სტერილიზაცია გაკეთებული ეპროვეტები სისხლის გამოგზანისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—37)

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და პატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—37

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივნისა. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გიორგიის ქ. № 9. (უ)

ექიმი ე. ი. მინასიანცი. შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—44)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—95)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იუმაილოვისა ქ. N2.

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 416.

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—46)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—84)

ვამზადებ მოწაფეებს გიმნაზიის უმცროს კლასებისათვის. აგრეთვე: ფერშლის, სახელოსნო და სამოქალაქო სასწავლებლებისათვის. ადრესი: ჩერქეზოვის ქუჩა № 125. ნახვა 3—6 საათამდის. (3—556—1)

ისყიდება

დიდ-ზომის მსწრაფლ-მბეჭდავი ნახმა[illegible] შეიძ[illegible]ში,

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა

ქარხნისა

ტფილისის განყოფილება

იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355.

საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა ჭდიდეს ქალაქებში.

შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—12)

სტუდენტები (უოფ. ექსტერნ.) ამზადებენ ყმაწვილებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის, სიმწიფის მოწმობაზე, მასწავლებლობაზე და ლათინურ ენის დამატებითი ეგზამენისათვის. აგრეთვე უსწორებენ გაკვეთილებს ხელმისაწდომ ფასში. მისამართი: ანჩისხატის ქუჩა, სახლი № 18, ბინა № 1. (5—2)

ქართული პრესა

„ცხოვრების საქმე“ სწერს:

„სახალხო გაზეთის“ სააღდგომო ნომერში მოწინავის ალაგას მოთავსებულია ბ-ნ ახელის წერილი სათაურით: „გახსოვდეს სიკვდილი“.

მოწინავე წერილის ადგილას არის, მაშასადამე, უნდა განვიხილოთ, როგორც მოწინავე წერილი. ასე ჰფიქრობს „ცხოვრების საქმე“. ახალი ამბავიც რომ იყოს მოთავსებული მოწინავე წერილის ადგილას, იგი უეჭველად მოწინავე წერილად გარდაიქცევა. და თუ იმ ახალ ამბავში სწერია, რომ პეტრემ ივანე მოჰკლაო, „ცხოვრების საქმე“ დაასკვნის, „სახალხო გაზეთი“ მკვლელობას ჰქადაგებსო. მერე აამუშავებს თავის ლოღიკურს მექანიზმს და ბრძნულად დაასკვნის: „სახალხო გაზეთი“ მკვლელობას ჰქადაგებს, და რადგანაც გაზეთს ზევიდან აწერია „სახალხო“, იგი ხალხის მკვლელად უნდა გამოცხადდესო.

ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ ნუ თუ „ცხოვრების საქმე“-ს მართლა ჰგონია, რომ ყოველ გვარი წერილი პოლიტიკო-სოციალურის საზომით შეიძლება გაიზომოს?

იმ დროს, როდესაც კაცობრიობის უდიდესი ნაწილი „აღდგომაზე“ ლაპარაკობს, ბ-ნმა ახელმა სიკვდილიც გაიხსენა.

დაპირისპირება სიკვდილ-სიცოცხლისა, რომელსაც არავითარი პუბლიცისტური სარჩული არ უდევს, „ცხოვრების საქმემ“ საპოლემიკო საგნად გაიხადა. თავის ნებაა. ჩვენ მის პოლემიკურს ჟინიანობას ვერ ავყვებით...

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

დიდუბის ეკლესიის საკითხის შესახებ „გოლოს კავკაზა“-მაც ამოიღო ხმა. მას მოჰყავს ნაწყვეტები ჩვენის წერილიდან, არა ცდილობს დაარღვიოს ის ცნობები, რომელიც დიდუბის ეკლესიის გამო გამოქვეყნდა ქართულს გაზეთებში და თავის წერილს ამნაირის სიტყვებით აძავებს.

> „რაზე დაჰკრა ერთბაშად ბუკი და ნაღარა ქართულმა პრესამ? ვინართმევს ეკლესიას ერთს „ხალხს“ და აძლევს მეორეს? უეჭველია იმაზე ლაპარაკობენ, რომ აზრადა აქვთ დააკმაყოფილონ სამართლიანი მოთხოვნა დიდუბის სამრევლოსი, რომელიც მთლად რუსებისაგან შესდგება და რომელსაც უნდა, რომ საეკლესიო კრებულში ერთი რუსი მღვდელი მაინც შედიოდეს“.

როგორც ეტყობა, საქმე მხოლოდ იმაშია, რომ დაინიშნოს ერთი რუსი მღვდელი დიდუბის საეკლესიო კრებულში. ასეა „გოლოს კავკაზა“-ს სიტყვით. იმ ცნობების თანახმად კი, რომლებიც ქართულმა პრესამ გამოაქვეყნა, ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ აზრადა აქვთ დიდუბის ეკლესია რუსულ სამრევლო ეკლესიად გარდააქციონ. ოფიციალურად ეს ხმები ჯერ უარყოფილი არ არის, და ამიტომ ჩვენც არ შეგვიძლიან სხვანაირს აზრს დავადგეთ. „გოლოს კავკაზა“ კი თავის შენიშვნაში დიდს ულოღიკობას იჩენს და ჩვენც არ შეგვიძლიან ეს ულოღიკობა არ აღვნიშნოთ. „გოლოს კავკაზა“ ამბობს, დიდუბის მრევლი სულ მთლად რუსებისაგან შესდგება და ამიტომ ფრიად სამართლიანი იქნება, თუ საეკლესიო კრებულში ერთს რუსს მაინც გაურევთო. ვსთქვათ, „გოლოს კავკაზა“ სრულს ჭეშმარიტებას ამბობს, ვსთქვათ, მართლაც დიდუბის მრევლი სულ რუსებისგან შესდგება. თუ ეს ასეა, უფრო სამართლიანი არ იქნება, რომ მთელი კრებული რუსებისაგან შესდგებოდეს? რათა კმაყოფილდება „გოლოს კავკაზა“ მხოლოდ ერთის მღვდელით? მაგრამ საქმეც ის არის, რომ „გოლოს კავკაზა“ სიმართლეს არ ამბობს. ჯერ გამოურკვეველია, დიდუბის მრევლის უმრავლესობას ვინ შეადგენს, ქართველობა თუ რუსობა. ესეც რომ იყოს, რუსებს ხუთი ეკლესია აქვთ დიდუბის რაიონში, ქართველებს კი მხოლოდ ერთი—დიდუბისა. თუ ამ ერთს ეკლესიაშიაც წირვა-ლოცვა სლავიანურს ენაზე შემოიღეს, ქართველებს აღარც ერთი ეკლესია არ ექნებათ დიდუბეში სალოცავად. დიდუბის ეკლესიის მრევლს რუსები შეადგენენო. მართალი არ არის. მრევლში უმრავლესობა ქართველობაა, მაგრამ შეიძლება სალოცავად არ დადიოდეს. და არ დადის იმიტომ, რომ იქ დღეს არეული წირვა-ლოცვაა. რუსი მღვდლის დანიშვნა უფრო აურევს წირვა-ლოცვას და დიდუბის რაიონის ქართველებს სრულიად ჩამოაშორებს ეკლესიას. მერე განა ეს სამართლიანობაა, განა ეს სასურველია? ან განა ექნება ვისმეს საბუთი, ამის შემდეგ დიდუბის ქართველებს უსაყვედუროს, რატომ ეკლესიაში არ დადიხართო? როგორ შეუძლიანთ იარონ, როდესაც დღითი-დღე მის მოთხოვნილებებს გვერდს უხვევენ და ისეთს პირობებსა ჰქმნიან, როდესაც დიდუბელი პლოცველი იძულებული ხდება ქალაქის სხვა რაიონში წავიდეს სალოცავად.

რუსებს რომ დიდუბეში ეკლესია არა ჰქონდეთ, მაშინ კიდევ გასამართლებელი საბუთი მოიძებნებოდა რუსი მღვდლის დანიშვნის საჭიროებაზე. მაგრამ რუსებს ხუთი ეკლესია აქვთ დიდუბის რაიონში. მათ თავისუფლად შეუძლიანთ დაიკმაყოფილონ რელიგიუ-

რი მოთხოვნილებანი. ამიტომ ჩვენ ერთი რუსის მღვდლის დანიშვნაც უსარგებლოდ, უსამართლოდ მიგვაჩნია.

აღადგინეთ დიდუბის ეკლესიაში წმინდა ქართული წირვა-ლოცვა და თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ იგი ისევ ქართველ მლოცველებით გაივსება. სამართლიანობა ეს იქნება და არა ის, რასაც „გოლოს კავკაზა“ აღიარებს.

ახალი ამბები

ტფილისი

◆ **რედაქტორის დაპატიმრება.** გუშინ უკვე დააპატიმრეს „ლისტოკ კაპეიკა“-ს რედაქტორი ვიქტორ შავლაძე, რადგან ვერ წარადგინა ის 200 მანეთი, რომლითაც იგი ამას წინად გენერალ-გუბერნატორმა დააჯარიმა.

◆ **ბორჯომიდან გვწერენ:** ამას წინად ექვსი შეიარაღებული უცნობი თავს დაეცა აქაურ ვაჭარს დიმიტრი ქრისტოპულოს და 300 მანეთი ნაღდი ფული წაართვა. ამ საქმის გამო ექვსით ოთხი კაცი დააპატიმრეს.

◆ **ლექცია.** 17 აპრილს სახალხო სახლში სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოდ ბ-ნი ერმოლაევი ლექციას წაიკითხავს ტოლსტოის შესახებ. ლექცია დილის 11 საათზე დაიწყება.

◆ **რედაქტორი სამართალში** აღდგომის წინა დღით დახურულ გაზეთის „ახალი საქმე“-ს რედაქტორი გიოზ ჯაჭვაძე სამართალში მისცეს სასჯელთა დებულების მე-132 მუხლის ძალით ხსენებულ გაზეთის პირველ ნომერში დაბეჭდილ მეთაურისათვის.

◆ **ქურდების შეპყრობა.** 8 და 9 აპრილს ტფილისში დააპატიმრეს შემდეგი ქურდები: მიხეილ აპეტიქას ძე ბაიანდუროვი, ისაია არაქელას ძე ხაჩატუროვი, ალექსანდრე ვასილის ძე გოგინაშვილი, სვიმონ მაქსიმეს ძე კაპანაძე, მორდებ გუშაკის ძე ანტოშვილი, სარქის ყაზარის ძე მირტიროზოვი, სარქის ზაქარიას ძე ნასყიდოვი და ანდრია ილარიონის ძე აკენტიევი.

◆ **წარმოდგენა სახალხო სახლში.** 18 აპრილს ქართულ სცენის მოყვარენი ალექს. შანშიევის დახმარებით წარმოადგენენ შილერის დრამას „ყაჩაღებს“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ შაბათს, 16 აპრილს **ავჭალის სახალხო აუდიტორიაში** ქართული სახალხო წარმოდგენების მმართველი სექცია დადგამს ვ. გუნიას 5 მოქ. ისტორიულ დრამას „და-ძმა“. შემდეგი წარმოდგენისთვის მზადდება ოსტროვსკის 4 მოქ. დრამა „უდანაშაულოდ დასჯილნი“.

◆ სატარიფო კრებამ გადასწყვიტა შემოიღოს ახალი წესი: **მოსწავლეთათვის რკინის-გზებზე ფას დაკლებულ ბილეთებით სარგებლობა.** საშუალო სასწავლებლების (კერძოსა და სახაზინო), მოწაფეებს მიეცემათ მესამე კლასის ბილეთები 25% დაკლებით, მიუხედავად გზის სიდიდისა. ქალებს, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთ ესევე დაუკლებენ ფასს, მხოლოდ, ბილეთს კი მეორე კლასისას მისცემენ. ექსკურსიებს 50% დაუკლებენ. თითო ექსკურსიაში 10—40 კაცამდის უნდა იყოს. ექსკურსიებმა ერთის კვირით ადრე უნდა აცნობონ რკინის გზას და ფულიც წინდაწინვე წარადგინონ. ამასთანავე მოგზაურობის დროს არავითარი დაბრკოლება არ ექნებათ. დაბალ სასწავლებლების მოსწავლეთ 50 ვერსის მანძილზე უფასო ბილეთები ექნებათ. რკინის გზის სასწავლებლებს სრულიად უფასო.

აზრადა აქვთ, უფასო ბილეთები დაურიგდეთ იმ სახალხო მასწავლებელთ, რომელნიც მასწავლებელთა კურსებზე მიდიან.

◆ **ისტორია საგლეხო რეფორმისა ამიერ-კავკასიაში.** ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის მაგისტრანტი ჩვენი თანამემამულე ს. ლ. ავალიანი ამ ჟამად მასალებს აგროვებს ამიერ-კავკასიის საგლეხო რეფორმის ისტორიის შესადგენად. მეცნიერთა აკადემია ნამესტნიკს სთხოვს, ნება მისცეს ბ-ნს ავალიანს, რათა უკანასკნელმა შესაფერ მასალებით ისარგებლოს სანამესტნიკოს არქივ დან.

◆ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნები: „ორიგინალური შემოქმედების ნაწყვეტები!“, შედგენილი და გამოცემული მელიტონ იძე დანელიასი. წიგნი პატარა ფორმატისაა, 48 გვერდს შეიცავს და სამ შაურად ღირს; და 2) „ფილოქსერა“ თარგმანი ვ. რცხილაძისა გამოცემა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტისა. წიგნები ხალხს უფასოდ დაურიგდებათ.

◆ **სურამიდან გვწერენ:** ამ ზაფხულს სურამში, სანატორიის გახსნას აპირებენ. ამ აზრით უკვე დაიქირავეს ინჟინერ მუსტის სახლი.

◆ წელს სურამში საზაფხულოდ რამდენიმე პოლკი მიდის.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა ნება არ დართო ქუთაისის წვრილ ებრაელ ვაჭრებს კვირაობით ვაჭრობისა.

◆ **ჟურნალისტს ლ. ყიფიანს სამართალში აძლევენ** „თავისუფალ სიყვარულის ლიგის“ შესახებ წერილების დაბეჭდვისათვის გაზეთ „ლისტოკ-კაპეიკა“-ში.

◆ **ლუხრანის ხიდზე** ეტლების მიმოსვლა 24 აპრილიდან დაიწყება.

◆ **კახეთის რკინის გზა.** ტეხნიკური გამოკვლევა კახეთის რკინის გზისა ადგილობრივ უკვე დასრულდა. მუშაობას ხელმძღვანელობდა ინჟინერი დვორჩიჩენკო. მთავრობის მიერ დანიშნულ ინჟინრებ რახმანინისა და ჩმუტოვის თანადასწრებით. ამ დღეებში მთელს მასალებს ამ გამოკვლევის შესახებ დაამუშავებენ და ცნობაში მოიყვანენ.

◆ **ეპისკოპოსი პიმენი** ბაქოდან კვლავ ტფილისში დაბრუნდა.

◆ მოსამსახურეთა მოსწავლე შვილები ახლო-მახლო სადგურებიდან ტფილისში ჩამოდიან სასწავლებლად. რომ მათ მისვლა-მოსვლა გაუადვილდეს რკინის გზის გამგეობამ გადასწყვიტა, დაარსოს საგანგებო ვაგონი, რომელსაც საჭიროების-დაგვარად ყოველს მატარებელს მოაბამენ ხოლმე.

◆ 12 აპრილს წყნეთის ქუჩაზე, გოლოვინის პროსპექტისაკენ მიმავალი ტრამვაის ვაგონი № 84 დაეჯახა მისაბამ ემტარო ვაგონს, რომელზედაც იდგა კონდუქტორი კრავცოვი. კრავცოვი სკამებს დაეჯახა და ძლიერ დაშავდა. დაშავებული მიხეილს საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

◆ 11 აპრილს სად. აქსტაფის მახლობლად სოფ. კოვლიარის მცხოვრები სარიალი მაშადი-ვალი მეორე თათრის დახმარებით რკინის გზის ლიანდაგის „შპალებს“ იპარავდა. ეს დარაჯმა ჯაფარ საფარმა შეამჩნია და ქურდებს სროლა აუტეხა. სროლის დროს მაშადი ვალი სასიკვდილოდ დაიჭრა.

◆ 13 აპრილს სადგ. საბუნჩისთან პატარა ბიჭს ვანო ფედოროვს ცაქანებულ მატარებელზე შეხტომა უნდოდა, მაგრამ ჩამოვარდა და მატარებლის ქვეშ მოჰყვა. მატარებელმა ბავშვს მარცხენა ფეხი მოსწყვიტა. დაშავებული გაჰგზავნეს რკინის გზის საავადმყოფოში.

◆ 14 აპრილს სად. ბელაგორსა და ძირულის შუა მატარებელი 289, რომელიც 44 ვაგონისაგან შესდგებოდა, შუაში გასწყდა, რადგანაც შუა ვაგონს გადასაბამი მანქანა გაჰფუჭებოდა. უბედურება არ მომხდარა.

თელავის ცხოვრება

კარგა ხანია თელავზე არაფერი გვითქვამს; ეს არც საკვირველია მთელი მისი ყურადღება ქალაქის არჩევნებმა მიიქცია. ეს არჩევნები თავის შედეგებით, ე. ი. სომხების არჩევით და ქართველობის გაშავებით სადღეისო საჭირ-ვარამო კითხვად გარდაიქცა და მიუხედავად იმისა, რომ მეორე თვე მიდის, მასზე ლაპარაკი არ შეწყვეტილა.

„თავად არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო“, სწორედ ჩვენზე ითქმის, ჯერ რა იყო ქალაქის საქმიანობა და ამას იქით რა იქნება? არჩევნების შემდეგ ძველი ხმოსნები გაიბუტნენ, კრებებზე აღარ დაიარებიან, ახლები ჯერ არ დაუმტკიცებიათ — ამბობენ ტფ. გუბერნატორსა არჩევნების მთელი საქმის წარმოება მოუთხოვნიაო. მას აქეთ ერთი კანონიერი კრებაც აღარ შემდგარა, ქალაქის ბევრი საქმეები კი ყურადღებას და ჩქარა გადაწყვეტას თხოულობს.

ეს მეორე წელიწადია სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ-ნი პოგორელოვი ქალაქის გამგეობას ადგილსა სთხოვს სამინისტრო სკოლისათვის შენობის ასაგებად, რომლის ფული მთავრობას უკვე გადაუდვია. სხვაგან ამისთანა წინადადებას სიხარულით მიეგებებოდნენ, და მალეც გადასწყვეტდნენ, თელავში-კი, თუმცა ქალაქის მამათ მოინდომეს ადგილის ყიდვა და დათმობა სკოლისათვის, მაგრამ, რომელი ადგილი, რად და რომელ მხარეს,—ეს კი ჯერაც ვერ გადაუწყვეტიათ. ამის შესახებ რამდენჯერმე მოუხდენიათ კრება; ამოურჩევიათ კომისიები; მაგრამ მაინც ვერაფერი გარიგდა, ალბად იმიტომ, რომ ყველას უნდა თავის ღობესთან ახლო იყოს სკოლის ადგილი.

ჩვენ ყველაზე საჭიროდ მიგვაჩნია ადგილის დათმობა მაწანწარაზე, სადაც უმთავრესად ღარიბი ხალხი სცხოვრობს და სადაც უფრო საჭიროა ასეთი სკოლის გახსნა. ეს ვეებერთელა რაიონი ყველასაგან და ყოველ-მხრით დავიწყებულია და არავინა ჰყავს გულ შემატკივარი.

აქაურ ხაზინისათვის ახალ შენობის ასაგებად მთავრობას სამი ათასი მან. გადაუდვია და მალეც დაიწყობენ თურმე. შენობას ააშენებენ ისევ ძველ ხაზინასთან, გალიავანში. რასაკვირველია ახალი შენობა თვალ-საჩინო იქნება და მიუხვედრელ ადგილას კი კეთდება. ეს რომ გამოჩენილ ადგილას ქუჩის მხრით ყოფილიყო, თელავს არქიტექტურის მხრით თვალსაჩინოდ დაამშვენებდა. ამის მოგვარება შეუძლებელი იყო, ქალაქის გამგეობას რომ თავის დროზე ყურადღება მიექცია.

დავიწყებული.

მუშათა შორის

კაცი რომ იტყვის უწუთისოფლო ხალხია, სწორედ ჩვენზეა ნათქვამი მეტად აუტანელ პირობებში ვიმყოფებით ტფილისის მაგარ სასმელის დუქნ. სარდაფების მუშები. სარდაფის პატრონთა კბილთა ღრჭენა'ს საზღვარი არა აქვს. დღითი დღე მატულობს სამუშაო დღე. ათის წლის წინად რომ ყოფილა მუშაობა, ხელ-აუღებელი, მუდმივი, დაუსვენებელი, იმაზე უარესია დღეს. წინა წლების უფლებები მთლად წაართვეს მუშებს. 8 საათის სამუშაოს მაგივრად, ჯერ შარშან-წინვე 12 საათი შემოიღეს, მერე ესეც არ იკმარეს და მთელ დღე-ღამედ გაუხადეს. განუწყვეტლად და დაუსვენებლად დილის ექვსიდან ღამის თორმეტამდის გვამუშავებენ. თითო საათი დილითა და საღამოთი მალვით ვაჭრობენ. კვირა-უქმე დღეც ესევეა. დუქნები დაკეტილია სიტყვით, მაგრამ საქმით მუშაობა გაორკეცებულია.

ყველა მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ქალაქის მამებს ჩვენ სრულიად არ ვახსოვართ. ქალაქის მზრუნველნი სილოლოკის ქუჩებში ჩარიგებულ ხეებს უფრო ყურადღებითა და მზრუნველობით ექცევიან, ვიდრე ჩვენ.

გ. [illegible]

გადასახადებისა.

უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს გადასახადების მოწესრიგებას, რომელიც ძლიან ცუდითაა დაყენებული გორის მაზრის ხარჯის გამწერ საკრებულოსაგან.

ერთხელ კიდევ მინდა აღვნიშნო, რა დიდ ტვირთად აწევს გორის მაზრის მცხოვრებლებს ერთი ორად და სამად შეწერილი გადასახადები. ბევრმა სოფელმა სწვნია სიმწარე ამ უსამართლოდ შეწერილ გადასახადებისა, ბევრს გლეხს გაუყიდეს უკანასკნელი შაურიანი ქვაბი, დაგლეჯილი ფარდაგი დაუსრულებელ „ნედოიმკაში“. და ესაა ერთი იმ მიზეზთაგანი, რომ სოფელი განიცდის ქონებრივ დაქვეითებას. როდესაც თვალ ყურს ვადევნებ სოფლის გარემოებას, მით საჩივარ გადასახადების შესახებ, ბევრ გულის ამღვრევ ფაქტებს ვპოულობ მათ შორის ეს ფაქტები უნდა აღინიშნოს, რომ შემდეგში შესაძლებელი იყოს გადასახადების მოწესრიგებისა:

1. **უზომო გადასახადი.** სოფ. ახალშენში დროებით ვალდებულ გლეხები სცხოვრობენ, ხიზნებიც მოსახლეობენ. დროებით ვალდებულ გლეხებს „უსტავნი გრამოტით“ უჭირავთ სახლის ადგილი—3 დესეტინა, ვენახები—3 1/2 დესეტინა და სახნავიც—59 1/4 დესეტინა; სავენახეებში ვაზი მოისპო და სახნავად გადააქციეს; გადასახადი შეწერილი აქვთ—119 მ. 7 კ., ე. ი., დესეტინაზე მოდის—1 მ. 80 კ.

სოფ. ცერონისში დროებით ვალდებულ გლეხებს უჭირავთ სანადელო მიწები 123 დესეტინა, 191 წლამდის შეწერილი ჰქონდათ წლიურად გადასახადი 339 მ. 39 კ. დესეტინაზე მოდიოდა—2 მ. 7 კ.; შარშან რაღაც მიზეზით უცებ 339 მ. 39 კ. მაგიერ 127 მ. 38 წლიური გადასახადი მოუვიდათ; დაინახეს რა შეცდომა თავიანთ, შეასწორეს, მაგრამ „ნედოიმკებს“ კი 525 მ. 91 კ., რომელიც შეგროვდა უსამართლო შეწერვით, ისევ ახდევინებენ. ამავე სოფელში დავით ქეჩინაძეს 1/2 დღ. სახნავ მიწაში, როგორც მესაკუთრეს,—შეწერილი აქვს—68 კ., ესე იგი დესეტინაზე მოდის 2 მ. 72 კ.

სოფ. თამარაშენი შეიცავს 74 დეს. 1900 კ. ს., ხიზნებს უჭირავთ ხიზნებისავე პროტოკოლებით—32 1/ დესეტინა, შეწერილი აქვთ სახლ გადასახადი—70 მან. დროებით ვალდებული გლეხები „უსტავნი გრამოტებით“ ფლობენ 69 1/2 დეს. გადასახადს იხდიან—82 მ. 64 კ.

სოფ. კლონე შეიცავს 447 დეს. ამაში შედის წვრილი ტყე, გზები, ღრეები—182 დ. 730 კ. ს. თავ. ფალავანდიშვილების სახლის ადგილები, ვენახები, სახნავები—142 დ. 100 კ. ს., აზ. ხიმშიაშვილებისა—8 დ. 100 კ. ს., მესაკუთრე გლეხებისა—46 დ. 1290 კ. ს., სიეკლესიო, სასოფლო და კანცელარიის ადგილები—1380 კ. ს, დროებით ვალდებულ გლეხებს უჭირავთ ზომით 68 დეს.

კრიტიკული შენიშვნები

1.

ძველი და ახალი.

თუ მსოფლიო მწერლობას თვალს გადავავლებთ, დავინახავთ, რომ ბოლო ხანებში მან დიდი ცვლილება განიცადა. არსებითად შეიცვალა როგორც საგანი მწერლობისა, ისე საშუალებანი, წესი აზრთა გამოხატვისა. მწერლობის მემატიანეს უპირველეს ყოვლისადის ეცემა თვალში, რომ ახალგაზდა მწერლები სარგებლობენ ახალის ფორმით თავიანთ აზრების გამოსახატავად. უკანასკნელ წლების სალიტერატურო მიმართულებანი, რომელთაც კრიტიკოსები ჩვეულებრივად სხვა და სხვა ნაირს სახელს უწოდებენ ხოლმე იმისდამიხედვით, თუ რანაირი ელემენტი უფრო სჭარბობს ამა თუ იმ სალიტერატურო მიმართულებაში, არსებითად განსხვავდებიან ძველისაგან. მაგრამ ეს არსებითი მხარე ბევრისათვის შეუმჩნეველი რჩება. ბევრი ღრმადაა დარწმუნებული, რომ შეიცვალა მხოლოდ ფორმა მხატვრულ ნაწარმოებისა, შინაარსი კი ძველი დარჩა. ნამდვილად კი ფორმის შეცვლა შინაარსის შეცვლამ გამოიწვია.

ახალმა ლიტერატურულმა ფორმებმა ბრძოლა გამოუცხადა ძველს. უკიდურესობა, რა თქმა უნდა, იქაც არსებობდა და აქაც. რეალიზმი, ეს დამახასიათებელი თვისება ძველი მწერლობისა, თავის დანიშნულებას ყოველთვის პირნათლად არ ასრულებდა. თუ რეალისტურ სკოლას ჰყავს ისეთი გენიოსური მწერალი-მხატვარი, როგორიც, მაგალითად, ლევ ტოლსტოია, მანვე წარმოშობა ბევრი მახინჯი ფორმა მწერლობისა. რეალისტურ მწერლობის სრულ და განუსაზღვრელ ბატონობის დროს რუსეთში იღვწოდა ერთი მწერალი, რომელიც სიუჟეტებს თავის მოთხრობებისთვის მხოლოდ იმ ქუჩიდან იღებდა, სადაც თვითონ მოსახლეობდა. იმის აზრით, ფოტოგრაფიული დახატვა სინამდვილისა მას მხოლოდ ამისთანა პირობებში მიაჩნდა შესაძლოდ. მეორის მხრით, ვერც ახალი მწერლობა გადარჩა უკიდურესობას. ბოლოს ხანებში საზღვარ-გარედ და რუსეთშიაც აუარებელი ლექსი იწერება ისეთი, რომლის თავსა და ბოლოს ადამიანი ვერ გაიგებს. საქმე იქამდის მივიდა, რომ ერთხელ ერთმა პროფესორმა ათი თუმანი ჰონორარი დაუნიშნა იმას, ვინც ერთ რუსის პოეტის დეკადენტურ ლექსს ჩვეულებრივ, ყველასათვის გასაგებ ენაზე გადაუთარგმნიდა. გამოჩნდა მსურველი, რომელმაც ეს თხოვნა შეუსრულა. არ ვიცით, დაკმაყოფილდა თუ არა ახირებული პროფესორი განმარტებით, მაგრამ ის მაინც ფრიად საყურადღებო მოვლენაა, რომ მხატვრულ ნაწარმოებს კიდევ განსაკუთრებული კომენტატორები დასჭირდა.

ასეთსავე მოვლენას ვხედავთ ხელოვნების სხვა დარგებშიაც, მაგალითად, მხატვრობასა და ქანდაკებაში. მხატვრობაში რეალიზმის ადგილი ეგრედ წოდებულმა იმპრესიონიზმმა დაიჭირა. ძირითადი პრინციპები იმპრესიონიზმისა მართალია. ამ მიმართულებას არსებითად შეუძლებლად მიაჩნია რეალურ სინამდვილის ფოტოგრაფიული დასურათხატება. რაც უნდა ბევრი ეცადოს მხატვარი, მაინც ფერადების კომბინაციით მას ვერ შეუძლიან გადმოცემა იმ მრავალ-ფეროვანებისა, რომელიც სინამდვილეში არსებობს. ამიტომ იმპრესიონიზმმა სრულიად უარი სთქვა სინამდვილის ფოტოგრაფიულ დახატვაზე. მან თავის მიზნად დაისახა გარემოცულ სინამდვილის დასურათ-ხატება მხოლოდ იმ სახით, როგორც ეს სინამდვილე ერთის შეხედვით აღიბეჭდება ხოლმე მხატვრის მეხსიერებაში. ეს გარემოება განსაკუთრებულ ელფერს აძლევს იმპრესიონისტულ მხატვრობას. აღარაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ იმპრესიონიზმი—ეს სუბიექტური შემოქმედებაა. ავტორის სულიერი განწყობილება ნათლად გამოსჭვივის თვითოეულ ნაწარმოებში.

ვიმეორებთ, არსებითად პრინციპები იმპრესიონიზმისა მართალია, მაგრამ ვერც ის ასცდა უკიდურესობას. ამ სტრიქონების დამწერს საშუალება მიეცა დასწრებოდა ერთს გამოფენას, რომელიც ადესაში გაიმართა. ადესის „სალონში“, როგორც უწოდეს ამ გამოფენას გამმართველებმა, ყველა სკოლისა და მიმართულების სურათები იყო გამოფენილი. იყო რეალისტური ხასიათის ნაწარმოებნიც, მაგრამ იმპრესიონისტული სურათები ჭარბობდა. აქ თქვენ ნათლად შეამჩნევდით იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს წმინდა იმპრესიონიზმსა და უკიდურესობის შორის. იყო, მაგალითად, ერთი ამნაირი სურათი. ერთგვარ ფონზე, რომელიც აჭრელებულ, რაღაც გაურკვეველ უჯრებისგან შესდგებოდა, გამოხატული იყო რაღაც ცხოველი, რომელიც უფრო, ბოდიშს მოვიხდი მკითხველთან, ვირს წააგავდა. ცხოველიც ერთგვარის ფერით იყო დახატული; შემოხაზულობა მოუხეშავი ჰქონდა, არც პერსპექტივა სჩანდა სადმე. ერთის სიტყვით, ეს სურათი მოგაგონებდათ იმ დროინდელ ნაწარმოებს, როდესაც არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდათ პერსპექტივაზე, როდესაც ფერადების შეთანხმებით სივრცის გამოხატვას ვერ ახერხებდნენ. იმ დროის სურათები ისეთს შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე, თითქოს ზედ-გამოსახული არსებანი უმწეოდ არიან გაკრულნი კედელზეო. აი, ასე უმწეოდ იყო მიკრული ზემო-ხსენებული ცხოველი ტილოზე, რომლის ფონიც რაღაც გაუგებარ უჯრებად იყო აჭრელებული. ეს ტეხნიკური მხარეა სურათისა. თუ რანაირია შემოქმედებითი უნარი მხატვრისა, ამას მკითხველი იქიდან დაინახავს, რომ ამ უცნაურ სურათისთვის ავტორს „სამოთხე“ დაურქმევია.

ასეთს აბსურდამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი უკიდურესობამ. მაგრამ ეს კიდევ იმას არა ნიშნავს, რომ ყალბია თვით პრინციპები იმპრესიონიზმისა. ბრძოლის დროს მებრძოლნი ყოველთვის უკიდურესობაში ვარდებიან. ასევე დაემართა ხელოვნებასაც საზოგადოდ და მწერლობას—კერძოდ. ახალი ფორმა მწერლობისა ებრძვის ძველს და ამ ბრძოლის დროს უკიდურესობამდე მიდის. ბოლო ხანებში ეს ბრძოლა მინელდა, და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. დრო საუკეთესო გამასწორებელია უკიდურესობისა. ბრძოლა მინელდა, მაგრამ განვითარება ახალ მწერლობისა არ შეჩერებულა. მომავალი ძველსა და ახალს შეაერთებს. მომავალი მწერლობა იქნება სინტეზი ძველისა და ახალისა. ამის ნიშნებს ჩვენ უკვე ვხედავთ.

ძნელია თანამედროვე მწერლობის დამახასიათებელ თვისებათა რამდენსამე ფორმულად ჩამოყალიბება. ძნელია განსაკუთრებით იმიტომ, რომ იგი ახალია. ინდივიდუალისტური, სუბიექტური ხასიათი ახალ მწერლობისა ისეთს მრავალ-ფეროვან სახეს აძლევს მას, რომ რაიმე გარკვეულ ფორმულების ჩამოყალიბება შეუძლებელი ხდება. მიუხედავად ამისა, მაინც საჭიროა და რამდენადმე კიდეც შესაძლებელია ზოგიერთ დამახასიათებელ თვისებათა აღნიშვნა. უპირველესი თვისება ახალის მწერლობისა, რითაც იგი განსხვავდება ძველისაგან, იმაში მდგომარეობს, რომ ახალი მწერლობა ინდივიდუალისტურია, ინდივიდუალისტურია არა იმით, რომ იგი ერთად-ერთს ღირებულებად ადამიანს, პიროვნებას აღიარებს, არამედ იმით, რომ მხატვრულ დასურათ-ხატების ცენტრად პიროვნებას, მრავალ-ფეროვან პიროვნებას აღიარებს. არციბაშევის „სანინი“ ეს ისეთი ნაწარმოებია, რომელმაც დაუპირისპირა ერთმანეთს პიროვნება და საზოგადოება, როგორც ღირებულებანი. ავტორმა უპირატესობა მისცა სანინს და, მაშასადამე, პიროვნებას, წინააღმდეგ საზოგადოებისა. ბევრი დარწმუნებულია, თითქოს სანინის წინააღმდეგ იმიტომ ამხედრდნენ, რომ იგი თავისუფალ სიყვარულის მქადაგებელია. შემცდარი აზრია. სიყვარულის, და თუ გნებავთ ხორციელი სიყვარულის თავისუფლებას უწინაც ჰქადაგებდნენ, მაგრამ ამისთანა ავტორების წინააღმდეგ არავინ ამხედრებულა. მე აქ თანამედროვე ზნეობის ოფიციალურ დამცველებზე არ მოგახსენებთ. შეგნებული ნაწილი საზოგადოებისა, ის ნაწილი, რომელიც არსებითად ემხრობა თავისუფალ სიყვარულისა, მაინც ამხედრდა სანინის წინააღმდეგ იმიტომ, რომ ავტორმა წამოაყენა საკითხი პიროვნებისა და საზოგადოების აბსოლიუტურ ღირებულებისა და უპირატესობა პიროვნებას მიანიჭა. სანინი როგორც ტიპი ყალბია, როგორც იდეალი—მდაბალი. სანინიზმის ეგოიზმს არაფერი საერთო არა აქვს იმ ინდივიდუალიზმთან, რომელმაც ამ ბოლო ხანებში თავი იჩინა მწერლობაში.

როგორც უკვე ვსთქვით, დამახასიათებელი თვისება ახალის მწერლობისა მისი ინდივიდუალიზმია. ინდივიდი, პიროვნება ყურადღების ცენტრადაა გადაქცეული. პიროვნებანი რეალისტურ სკოლის მწერლებსაც აინტერესებდ

500 კ. ს. ამ ორის წლის წინად მათ შეწერილი ჰქონდათ წლიურად 123 მ. 48 კ. ბევრის თხოვნისა და ცდის შემდეგ დღეს კნოლის დროებით ვალდებული გლეხები იხდიან წლიურად 76 მ. 67 კ., მაინც კი ბევრია.

სოფ. შინდარა ზომით არის—53 დეს. 1760 კ. ს. ამაში მებატონეს ეკუთვნის 18 დ. 1290 კ. ს. სახნავი მამული, წვრიმალა ტყეც იქნება 11 დეს. და გზებიც—600 კ. ს. ესენი საფალავანდო ტყეს 15000 დ. მიწერილია, დანარჩენი 23 დეს. 1400 კ. ს. დროებით ვალდებულ გლეხებს ეკუთვნის და გადასახადს იხდიან—31 მ. 6 კ.

სოფ. გიორგი წმინდაში ხიზნები სცხოვრობენ, სამი კომლიც დროებით ვალდებული გლეხია, ზომით არის—148 დეს. 480 კ. ს. ამაში ნადელია—17 დ. 870 კ. ს. და ეს მამული მიწერილია სოფ. შინდარის გადასახადში. ამ სოფელში მესაკუთრენი არიან და უჭირავთ—17 დ. 550 კ. ს. დანარჩენს ხიზნები ფლობელობენ და შეწერილი აქვთ—37 მ. 25 კ.

2. **საერთოდ დროებით ვალდებულნი გლეხები უფრო შევიწროებულნი არიან, ვიდრე ხიზნები.** აი თუნდ ავილოთ სოფლები: **ძალინაში** ხიზნები სცხოვრობენ, ზომით არის—350 დეს. ამაში წვრიმალა ტყე შედის—150 დეს., დანარჩენი 200 დეს. სახნავი და სავენახე მამულებია, შეწერილი აქვთ—51 მ. 81 კ.

სოფ. სხლიაშიაც ხიზნებია დასახლებული, შეიცავს 445 დეს. 1630 ოთხკუთ. ს. ამაში შედის წვრიმალა ტყე 208 დესეტინა, და თავფალავანდიშვილების 15000 დეს. ტყეზე არის მიწერილი; დანარჩენი სულ სახნავია, მამული გვარიანია და შეწერილი აქვს—169 მ. 3 კ.

სოფ. თერეგვანი შეიცავს—310 დეს. ამაშია 120 დეს. წვრიმალი ტყე, საერთო საფალავანდო ტყეზე არის მიწერილი, დროებით ვალდებულ-გლეხებს უჭირავთ—55 ნახ. დეს. და შეწერილი აქვთ—60 მ. 27 კ., ამავე სოფელში ხიზნებიც ცხოვრობენ; უკეთესი მამული უჭირავთ ერთი სამად, შეწერილი კი აქვთ—68 მ. 26 კ.

მხოლოდ ორ სოფ. **თამარაშენში**, როგორც ზევით მაქვს ნაჩვენები და სოფ. **თიღვაში**, რომლის ცნობები ჯერ ხელთ არა მაქვს, დანამდვილებით ვიცი, ხიზნები უფრო შევიწროებულნი არიან გადასახადებისაგან ამ სოფელში, ვიდრე დროებით ვალდებულნი და მესაკუთრენი. დანარჩენს სოფლებში ხიზნები უფრო შეღავათით არიან დროებით ვალდებულ გლეხებზე.—

3. **ბევრი შემთხვევაა, რომ ერთ და იმავე მამულზე ერთი ორად და სამად შეწერილია გადასახადი.** მამულის პატრონები სჩივიან ხარჯის ამღებ ინსპექტორებთან, აძლევენ ცნობებს მამულის რაოდენობისას, მაინც ყურადღებას არ აქცევენ. სხვათა-შორის სოფ. ცერონისში ქილლაძეებს ალექსის, იოსებს, ივანეს და გიოს თევდორეს ძეთ ნაყიდი აქვთ სამი დღის სახნავი მიწა, ამ ერთ ნაჭერზე სამი ხარჯის ფურცელი მოსდით. ქილლაძეებს ალექსის, იოსებს და ივანე თევდორეს ძეთ—3½ დღ. მიწაზე—2. მ. და 6 კ. არის შეწერილი, ქილლაძეებს ლექსო იოსების ძეს და მიხა ივანეს ძეს—3¼ დღ.—1 მ. 73 კ., ესენი პირველების შვილები არიან და ქილლაძე გ. თევდორეს ძეს 3 დღ.—1 მ. 30 კ. კიდევ ცალკე მისდის ხარჯის ფურცელი, ეს კი პირველების ძმა არის. რამდენჯერმე ჩავიდნენ გორში, მიმართეს ხარჯის ამღებ ინსპექტორებს, ვერა გააწყეს რა. ამ ბოლო დროს კიდევ ჩავიდნენ, რომ ამოეშვათ თავი ამ უსამართლო სამჯერ შეწერილ გადასახადისაგან, მწერალმა მათ სთხოვა ხუთი მანეთი, ამოგიშვებთო, ამათ ხუთი მანეთი ვერ მისცეს და გადასახადს ისევ იხდიან.

4. **ხარჯის გამწერის საკრებულოს ჯიუტობა.** სოფ. თამარაშენში, როგორც ზევით მაქვს ნაჩვენები, ხიზნებს უჭირავთ 65 დღ. და შეწერილი აქვთ—70 მან., ესე იგი დესეტინაზე მოდის—2 მ. 18 კ. ამოდენა შეწერილ გადასახადის თავიდან ასაცდენად რამდენჯერმე აღსძრეს საჩივარი ხარჯის გამწერ საკრებულოსთან, მომრიგებულ-შუამავლის მოწმობაც წარუდგინეს, რომ მათ 65 დღ. მეტი არ უჭირავთ, საკრებულომ ეს მოწმობა არ მიიღო და მოსთხოვა მამასახლისის მოწმობა; აბისის მამასახლისი და წინანდელი მწერალი ოსიტაშვილი მოიყვანეს, დააზომინეს—მწერალი რის მწერალია, რომ არას გამორჩენოდა, უფულოდ ფეხს არ გადასდგამდა და „საპრაგონო“ გადაახდევინეს.

5 **ხარჯის გამწერის საკრებულოს** წარმოდგენილი აქვს, რომ ყველა სოფელში საძოვრებია, ზეპირად ადგენს საძოვრების რაოდენობის ზომას და ყველა სოფელს გადასახადს აწერს. რომ ეს სწორე არაა, მის დასამტკიცებლად, საჭიროა მხოლოდ სოფლის მამულებს კაცმა თვალი გადაავლოს და ერთ ჩარექ დღიურ; საძოვარსაც ვერ იპოვის. მამულის უქონლობის გამო ისეთი შევიწროებაა სოფლის მამულებში, რომ ერთმანეთს ძეგლებს უხვნენ, საქცევებს აღარ სტოვებენ და გზებს ავიწროებენ.

6. „საფალავანდო“ მამულის სოფლებში: თამარაშენს, ცერონისს, კნოლეს, ოქონას, სხლითს, ხენდისუბანს, ახალშენს, ლარისთავს, ჩდილოს, თერეგვანს და ძალინას საკუთარი წვრიმალა ტყეები აქვთ და ეს წვრიმალა ტყეები შედიან 15000 დესეტინა ტყეში, რომელსაც თავისი გადასახადი აქვს, და ამიტომ ამ ზემოხსენებულ სოფლებს წვრიმალა ტყეებზე გადასახადის შეწერა მეტია.

7. **აღსანიშნავია აგრეთვე სახაზინო** მამულების გადასახადიც; სოფ. მოხისში დესეტინაზე გადასახადი მოდის 2 მ. 30. სოფ. ბერძენაულში კი დესეტინაზე იხდიან—4 მ. 48 კ. ეს სოფლები ერთი მეორის მეზობლები არიან და რად არის განსხვავება გადასახადებში, ალახმა უწყის.

8. **შეუფერებელი ზომები.** გადასახადების აკრეფას რომ კბილი გაუსინჯოთ, მეტის-მეტ შეუფერებელ ზომებს ხმარობს ადგილობრივი ადმინისტრაცია და ხარჯთამკრეფი ინსპექტორები. ჯერ იმ სოფლებში, სადაც არ არის დარჩენილი ბუჩული, წრევანდელ გადასახადს არ აცდიან ახალ მოსავლამდის და იმ სოფლებს, რომლებზედაც ორი და სამი წლისაა დარჩენილი გადასახადები, რბილად ეკიდებიან.

შარშან იყო და მემამულეებს სახელმწიფო გადასახადისთვის შემოსავალი შეუკრეს, გლეხებს უბძანეს, არაფერი შემოსავალი მისცენ; გლეხები უხერხულ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ, ამ შეუფერებელ ზომებისა გამო ბევრმა გლეხმა სწვნია სიმწარე. მემამულების შიშით მიწის მოსავალი მინდვრიდან ვერ დასძრეს, პოლიციის შიშითაც მემამულეებს შემოსავალი ვერ მისცეს და ბევრს მინდორში ჰქნახული წაუხდა.

შარშან ზამთარში სოფ. თერეგვანში დროებით ვალდებული გლეხები დაარბიეს სახელმწიფო გადასახადისათვის,—ისეთი გაჭირვება დაადგათ, რომ ონისიმე ნებიერიძემ დაუგირავა ორი დღის ყანა გუტალადიშვილს შვიდ აბაზში, ნიკა ნებიერიძემ ოთხ თუმნიანი ხარი—11 მანეთში გაყიდა. მეორე ნებიერიძეს მოსაგები ძროხა თუმანში წაართვეს, ცისკარის ქვრივმა წლის ბურვაკები ექვსი ცალი ექვს მანეთში გაყიდა. ერთმა ნებიერიძემ „ნედოიმკაში“ ხუთი თუმანი გადიხადა, ოთხი მანეთი დააკლდა, ხარი უნდა წაერთმიათ.

დასკვნა. როგორ უნდა მოევლოს, რომ ეს შეცდომები აღარ განმეორდეს და უტყუარ ცნობებს იძლეოდენ მცხოვრებლები თავიანთ მამულის შესახებ? იშვიათია, რომ მამულის პატრონმა სწორე ცნობები წარადგინოს ხარჯთ გამწერის საკრებულოში, გორიდან ხარჯთამღების ინსპექტორების მოწერილობით და ამასთანავე ადმინისტრაციის ბრძანებით ვერავითარ ნამდვილ ცნობებს ვერ შეკრეფენ.

რადგანაც ჯერ შორს არის ერობის შემოღება ჩვენში, ერთად-ერთი საშუალებაა, დაიაროს ადგილობრივ ხარჯის გამწერმა კომისიამ და გამოაკვლიოს ღირსება და რაოდენობა მამულის თანდასწრებით იმ მცოდნე პირებისა, რომლებსაც უკეთ გაცნობილი აქვთ ადგილობრივი რაიონები.

legatus

მოწერილი ამბავი

ს. ქვიანი (გური). როგორც მკითხველებმა იციან, სოფელ ქვიანის მცხოვრებლებმა ბ. ტ. ართმელაძის ინიციატორობით ითხოვეს ახალი ტიპის სამეურნეო სასწავლებელი; მიზანი ძალიან სიმპატიურია. სათანადო მთავრობამაც გამოგზავნა სპეციალისტი ბ-ნი ტიმოფეევი, რომელმაც ადგილობრივად ინახულა მიდამო, სადაც ეს სკოლა უნდა აშენდეს, და ძალიან მოიწონა. უმაღლესმა მთავრობამ გადასდო ამ სკოლის შესანახად 2000 მანეთი ყოველ წლიურად და მოითხოვა სოფლიდან შენობა და საჭირო მიწა. ქვიანელებმა, ნებართვამდე შეიძინეს საუკეთესო, კარგ ადგილზე მდებარე მიწა შენობითურთ, რომლისაც შესაკეთებლად სჭირდება ერთდროულად 1,500 მანეთი. რადგანაც მარტო ქვიანისათვის ეს ფულები სამძიმოა, სთხოვეს დანარჩენ ოთხ სოფელს, რომლებიც ამავე საზოგადოებაში არიან, მონაწილე გახდნენ ამ სკოლისა და გადაიხადონ ხვედრი ფული, მაგრამ თანაგრძნობა ვერ მოიპოვეს, თუმცა ეს ოთხი სოფელი იურიდიულადაც და ზნეობრივადაც ვალდებულნი არიან მონაწილეობა მიიღონ იმ საზოგადო დაწესებულებაში, როგორიც არის სამეურნეო სკოლა. სკოლა საზოგადოების ცენტრში უნდა იყოსო, ამბობენ ზოგიერთები; ამას მხოლოდ იმიტომ იმიზეზებენ, რომ ფულების გადახდა აიცილონ, თორემ ცენტრში ამ სკოლისთვის მიწას ვერ იშოვნიდნენ, თუ იშოვნიდნენ 1500 მანეთში მაინც ვერ; ის მიწა და შენობა, რომლებიც ქვიანელებმა უნდა იყიდონ, შეფასებულია 3500 მ., ხოლო სკოლას დაუთმეს იაფად. ზოგიერთები იტყვიან, სიღარიბის გამო ვერ შევიძლებთ ფულის გადახდასაო. ღარიბები რომა ვართ, სწორედ იმიტომ გვესაჭიროება ასეთი სკოლა; ეს სკოლა ისეთი ხასიათისაა, რომ ვერავითარი სხვა სასწავლებლის ტიპი ვერ შეეფერება მიწის მუშის გლეხის ცხოვრებას. ეს სკოლა გააცნობს გლეხებს იმ ახალ [illegible] მოშენებას, რომლებიც ჩვენში არ ზრდიან და ივარგებს; ეს სკოლა ხელს შეუწყობს და გაამრავლებს იმ მცენარეებს, რომლებსაც ჩვენი ჰავა აიტანს, და დღემდის კი არა გვქონია. უეჭველად ეს მცენარეები მოშენდება იმ სცდელ მინდორზე, რომელიც იქნება სკოლასთან; ამ სცდელ მინდორზედვე სინჯავენ და დაამზადებენ ჩვენი ჰავის შესაგუებელ ბოსტნეულობის და ბაღჩეულობის თესლებს, რომლებსაც დღეს ვყიდულობთ ხარბებისაგან.

როგორც მკითხველი ხედავს, მოსალოდნელია სოფლები ვერ მორიგდნენ და თვითეულმა ცალ-ცალკე დაიწყოს მოქმედება. ეს კი საერთო საქმეს ძალიან აზარალებს. ამიტომ საჭიროა, შეგნებულმა გლეხებმა მიიღონ ენერგიული ზომები სოფლების შერიგებაზე.

ერ. ნიგოითელი.

ახალციხე. ძველი ნაწილის ქართველობა ერთობ დაცემულია კულტურულად. დიდი ცდაა საჭირო მათ გასამთლებლად, მაგრამ სად არის მატრონი!..

მართალია დროებით მოსულ ქართ. ინტელიგენციის წყალობით არსებული ადგილობრივი ქალთა ერთ კლასიანი სასწავლებელი და სახ. ბიბლიოთეკა ოდნავ ბჟუტავს ხალხის საკეთილდღეოდ, მაგრამ სამწუხაროდ ამ დაწესებულებასაც ღირსეული ნაყოფი ვერ მოუტანია საწყალი ხალხისთვის. სკოლაში სწავლა არ არის რიგიანად დაყენებული და ბიბლიოთეკაში-წიგნ[illegible] (რადგან უმეტესი ნაწილი წიგნებისა დახეულ-და დაკარგულია). სკოლას თითქმის 1,200 მ. წლიური ხარჯი და 300 მან. ბიბლიოთეკისა სულ უბრალოდ იკარგება.

შეიძლება ბევრმა ეს არ დაიჯეროს, მაგრამ შეიხედონ სკოლაში, ბიბლიოთეკაში და თვითონვე დარწმუნდებიან. ორი წელიწადია, რაც რომ წერა-კითხვის ადგილობრივ საზოგადოების დაარსება გვინდოდა; საზოგადო განაჩენიც შესდგა, რაზედაც 30 კაცმა მოაწერა ხელი, მაგრამ დღემდე არა ეშველა რა საქმეს იმის გამო, რომ ტფილისის მთავარმა საზოგადოებამ დიდი გულგრილობა გამოიჩინა. გასულ 27 მარტის კრებაზე კი ხელახლად აღიძრა ეს საკითხი, კრებამ გადასწყვიტა, ახლავე შეიკრიბოს საწევრო სამ—სამი მანეთი, რომ საქმე განხორციელდესო. რამდენიმე თუმანი მაშინვე შეიკრიბა. იმედია, ყველანი ამ თვითვე შეიტანენ ფულსა და ჩქარა გაგზავნიან მთავარ საზოგადოებაში განყოფილების დასამტკიცებლად, რომ დროზე დამტკიცებულ განყოფილებას შეეძლოს არამც მარტო ჩვენი სკოლისა და ბიბლიოთეკის მართვა-გამგეობა, არამედ სხვა საქმეების კეთებაც.

ახლო მომავალ დღეში, განზრახულია გამართოს კრება „ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების“ წესდების განსახილველად წევრთა მოსამზადებლად.

ზამიანი ისარი.

უცხოეთი

ჟორესის კანონ-პროექტი

„რუსკ. ვედ.“ ის პარიზელი კორესპონდენტი დაწვრილებით გადმოგვცემს იმ კანონ-პროექტის შინაარს, რომელიც ჟორესმა წარმოუდგინა პალატას და რომელიც საფრანგეთში სახალხო მილიციის შემოღებას ეხება. მთელი კანონ-პროექტი 18 მუხლიდან შესდგება. ამ მოკლე პროექტს თან სდევს წვრილობითი განმარტება, რომელიც 680 გვ. შეიცავს. ეს პროექტი ნაწილია იმ დიდ შრომისა, რომელიც ეკუთვნის ჟორესს და რომელშიაც შედის კანონ-პროექტები სასამართლოების, სახალხო განათლების, მუნიციპალურ წეს-წყობილების და

იკითხავს მკითხველი. რა არის ტოლსტოის ნაწარმოებნი, თუ არა პიროვნებათა გალერეია, გაიკვირვებს მკითხველი. მართალია, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ტოლსტოის ნაწარმოებებში მხოლოდ გალერეიაა ტიპებისა და არა პიროვნებათა. ტოლსტოი გენიოსი მხატვარია. იგი გვაძლევს გასაოცარს სურათს სინამდვილისას, მაგრამ მაინც გრძნობთ თქვენს წინ მხოლოდ **დახატული** სურათია პიროვნებათა. ტოლსტოის გმირები უდიდეს რომანებშიაც კი ჩნდებიან და იმალებიან მკითხველის თვალწინ, როგორც მომქმედნი პირნი დრამატიულ ნაწარმოებისა. როდესაც ავტორი თავს ანებებს ამა თუ იმ გმირს, იგი თქვენს მხედველობიდანაც იკარგება, რადგანაც ავტორი მთელ თავის ძალ-ღონეს ანდომებს ახალ მდგომარეობის, ახალ მომენტების მხატვრულს დასურათ-ხატებას. სულიერი დრამა, სულიერი განცდა თავის თავად რეალისტურ მწერლისთვის საზოგადოდ და ამ ჟამად კი ტოლსტოისთვის არ არსებობს. ამა თუ იმ გმირს, რომლის სულიერს ცხოვრებასაც ხატავს ავტორი, აუცილებლად რაიმე დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს გარემოცულ სინამდვილესთან, რომ გამომჟღავნდეს სულიერი მოძრაობა.

ბუზის ერთგვარი, ზოგიერთს შემთხვევებში თავზარ-დამცემი ბზუილი მაინც უნდა იხმოდეს, რომ გმირისა და ამ ბუზის ბზუილის განსაზღვრულმა კომბინაციამ ცხადჰყოს სულიერი განწყობილება გმირისა, როგორც ამას ვხედავთ, მაგალითად, ტოლსტოის „ანნა კარენინაში“. ბუზის ბზუილი ეს ის ელემენტია, რომელიც აკავშირებს ტოლსტოის გმირს გარემოცულ სინამდვილესთან და ურომლისოდაც მისი სულიერი მოძრაობა გამოუმჟღავნებელი დარჩებოდა.

ახალ დროის მწერალთა გმირებიც ცისა და ხმელეთის შუა არა მოქმედობენ. ისინიც მიწის შვილნი არიან და, მაშასადამე, განსაზღვრულ ურთიერთობაში, განსაზღვრულ განწყობილებაში იმყოფებიან გარემოცულ სინამდვილესთან. მაგრამ მათს სულიერ მდგომარეობის გადმოსაცემად ახალ მიმდინარეობის მწერლისთვის საჭირო არა ხდება დაწვრილებითი შემუშავება დეტალებისა, საჭირო არა ხდება მოვლენათა განსაზღვრულ კომბინაციის მოხდენისა. მას აინტერესებს არა ესა თუ ის გამოხატულება, ხშირად გარეგნული გამოხატულება სულიერ მოძრაობისა, არამედ თვით ეს სულიერი მოძრაობა თავის თავად, რომლის ამოჩენა და დასურათ-ხატებაც შეიძლება მეტის სიძლიერით, მხოლოდ არა იმ საშუალებით, რომელსაც ჩვეულებრივად მიჰმართავს ხოლმე რეალისტური სკოლა. მაგალითისთვის ისევ ტოლსტოის რომანს მივმართოთ. წარმოვიდგინოთ ის მომენტი, როდესაც ანდრეი ნატაშას ელაპარაკება, იმ ნატაშას, რომელსაც განსაკუთრებულის სიმპატიით და სიყვარულით ექცევა თვით ავტორი. თქვენს თვალ წინ სდგება ცოცხალი სურათი ნატაშასი, თქვენ მშვენივრად ხედავთ მის შემკრთალ თვალებს, სიყვარულის, მძლავრ სიყვარულისა ნაპერწკალს, თითქოს იმის სუნთქვასაც კი ჰგრძნობთ, არ გამოგეპარებათ ერთი წარბის შეხრაც კი, თვითეული მოძრაობა სახისა. მაგრამ იმასაც ნათლადა ჰგრძნობთ, რომ ყველა ეს მხოლოდ გარეგნული, მართალია ხელოვნურად, გენიოსურად გადმოცემული, მაგრამ მაინც გარეგნული გამოხატულებაა იმ სულიერ მოძრაობისა, რომელიც თქვენთვის დაფარულია.

სულ სხვანაირი სურათი გადაიშლება თქვენს თვალ წინ, თუ ამის შემდეგ წარმოიდგენთ, მაგალითად კნუტ ჰამსუნის გმირებს. წარმოიდგინეთ ის მომენტი, როდესაც ნაგელი ელაპარაკება დაგნის. თქვენ არავითარი წარმოდგენა არა გაქვთ იმის შესახებ, თუ რანაირს სახელს იღებს ნაგელის თვალები ამა თუ იმ ძლიერს სულიერ განცდის დროს; წვრილმანები, დეტალები, რომელნიც დამახასიათებელ ელფერს აძლევენ ამა თუ იმ გმირს, სრულიად არ არსებობს. მიუხედავად ამისა, არც ერთი მოძრაობა სულისა თქვენგნით შეუმჩნეველი არა რჩება. პიროვნება, მრავალ-ფეროვანი პიროვნება და მისი სულის მიყრუებული კუნჭულები იშლება თქვენს თვალწინ. ასეთივეა კნუტ ჰამსუნის „ვიქტორია“, ასეთია პშიბიშევსკის „ჰომო საპიენს“-ი და მრავალი სხვა.

ასეთს განსხვავებას, რომელიც განსაზღვრულს ფორმულებში ვერ ჩამოყალიბდება, მაგრამ რომელიც მაინც არსებობს, ჰბადებს მხოლოდ ის გარემოება, რომ ეხლანდელს მწერალს აინტერესებს განსაკუთრებით პიროვნება თავის თავად, პიროვნება არა როგორც ამა თუ იმ მდგომარეობაში მყოფი, არამედ, ასე ვსთქვათ, მეტაფიზიკური, დროისა და სივრცის გარეშე მდგომი. რა არის ადამიანი თავის თავად, არა ფრანგი, არა გერმანელი ან ქართველი, არამედ საზოგადოდ ადამიანი; არა მეთერთმეტე საუკუნის ადამიანი, არა მეოცისა, არამედ საზოგადოდ ადამიანი, რომლის სულიერი სახიერება ერთნაირი იყო როგორც პირველს საუკუნოებში, ისე მეოცეში. არც აქედან შეიძლება იმისთანა დასკვნის გამოყვანა, თითქოს იმ რეალურს სინამდვილეს, რომელშიაც უხდება მოქმედება პიროვნებას, არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდეს. ცხოვრების პირობები იცვლება და მათთან ერთად იცვლება ადამიანის პიროვნებაც. გართულებული სოციალური ცხოვრება პიროვნებასაც ართულებს და მრავალ-ფეროვანსა ხდის. მაგრამ მაინც არსებობს უძლეველი სურვილი, უძლეველი წყურვილი გადალახულ იქმნას ის პირობები, რომელნიც განსაზღვრულ დაღს ასვამენ ადამიანის პიროვნებას, თითქოს სუდარას აფარებენ და უხილველად ჰხდიან. არსებობს პიროვნება, რომელსაც ყველა იცნობს, რომელიც **ევლინება** თავის ღირსება-ნაკლულევანებებით თავისიანებს და რომლის ფოტოგრაფიული დასურათ-ხატება ადვილად შესაძლებელია. მაგრამ არსებობს ადამიანი **თავის თავად**, პიროვნება უჩინარი, მალული, რომლის მრავალ-ფეროვნებაც ისევე უძიროა, როგორც ზღვა, რომლიც დღესაც ჯადოსნურს გამოცანად აღმართულა მოაზრე კაცობრიობის წინაშე. აი ეს ჯადოსნური გამოცანაა—ეხლანდელ მწერლებს რომ იზიდავს, აი ეს გამოცანაა, რომლის ახსნაც შეუძლებელი ხდება იმ საშუალებებით, რომლითაც სარგებლობდა რეალისტური სკოლა და რომლითაც დღესაც სარგებლობს.

ამაში გამოიხატება პირველი და, ჩემის აზრით, უმთავრესი დამახასიათებელი თვისება თანამედროვე მწერლობისა. ამ თვისებიდან ლოღიკურის აუცილებლობით გამომდინარეობს სხვა თვისებანიც. თანამედროვე მწერლობა ინდივიდუალისტურია იმ აზრითაც, რომ მწერალი თავის სულიერ „მე“-ს აწნავს თვითეულს ნაწარმოებში. კნუტ ჰამსუნი, მაგალითად, უგრძნობელი მოწმე კი არ არის იმ მოვლენებისა, რომელთაც აღწერს, იგი შორიდან კი არ დასცქერის თავის გმირებს, როგორც რეალისტურ სკოლის მწერალი მოიქცეოდა, არამედ თავის გმირთან ერთად სცოცხლობს. იგი მასთან ერთად განიცდის ტანჯვას დამარცხებისას, აღფრთოვანებულ სიხარულს გამარჯვებისას. ავტორის პიროვნება განუყრელია, შედუღებულია მოქმედ პირთა პიროვნებასთან. ეს დამახასიათებელი თვისებაც ნათლად გამოსჭვივის უკანასკნელ წლების მწერლობაში.

ყურადღების ცენტრად, ან უკეთ რომა ვსთქვათ, მხატვრულ დასურათ-ხატების ცენტრად პიროვნება გარდაიქცა. ამისთანა პირობებში მწერლობა, მხატვრული ნაწარმოებები ფილოსოფიურს სახეს იღებს. იბადება სხვა ფილოსოფიური პრობლემებიც. პიროვნება და საზოგადოება, ბრძოლა სულსა და ხორცს შორის, სიკვდილი და სიცოცხლე,—აი, პრობლემები, რომელთა გარშემოც ტრიალებს თანამედროვე მხატვრული მწერლობა. ფილოსოფიურ პრობლემათა გადმოცემა ყოვლად შეუძლებელია იმ საშუალებებით, რომელსაც რეალისტური სკოლა მიმართავდა. ფილოსოფიური ხასიათი ნაწარმოებისა თხოულობს სათანადო ლიტერატურულ გამოხატულებას, გამოცვლილი შინაარსი მწერლობისა სცვლის ფორმასაც. იბადება სიმბოლიზმი, რომელიც სხვა და სხვანაირს სახეს იღებს იმისდამიხედვით, თუ რანაირია თვით შინაარსი მწერლობისა. იქ, სადაც სიმბოლო მხოლოდ აუცილებელი საშუალება იყო ფილოსოფიურ აზრთა მხატვრულს გამოხატვისა, იგი ლამაზი იყო. როდესაც სიმბოლო თავის თავად მიზნად გარდაიქცა, როდესაც შინაგანი სიღრმე ნაწარმოებისა უნდოდათ სიმბოლოთი დაეჩრდილათ ან შეევსოთ, იგი ულაზათო და ტლანქი გამოვიდა. ეს მახინჯი ფორმაა სიმბოლიზმისა და იგი არ შეიძლება კრიტერიუმად დავისახოთ სიმბოლიზმის საერთო დაფასების დროს.

ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა ზოგიერთი დამახასიათებელი თვისებანი თანამედროვე მწერლობისა. რაიმე ფორმულების შემუშავება და ამ ფორმულების მიხედვით თანამედროვე ნაწარმოებთა კლასიფიკაცია ჩვენ არ გაგვიზრახავს, რადგანაც ეს შეუძლებელ საქმედ მიგვაჩნია ეხლა, როდესაც ახალი მწერლობა ჯერ არ ჩამოყალიბებულა და მტკიცე ხასიათი არ მიუღია. მაგრამ ზოგადი მოსაზრების გამოთქმა და წარმოდგენა იმ ცვლილებისა, რომელსაც მწერლობა განიცდის, მაინც საჭიროა, რადგანაც უამისოდ გაუგებარი გახდება მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები თანამედროვე მხატვრულ ლიტერატურისა.

გ. ხარები.

შრომის საკანონმდებლო რეორგანიზაციისა.

მაგრამ, რისთვის დაიწყო ჟორესმა ჯარის რეორგანიზაციიდან?

ამაზე თვით ჟორესი იძლევა პასუხს:

მე განვმარტავ იმ გეგმას, რომლიც ეხლა საფრანგეთის სოციალურ ორგანიზაციას და ვიწყობ იმ მუხლიდან, რომელსაც აზრადა აქვს დაიცვას საერთაშორისო მშვიდობიანობა— ამ გეგმას მე ვუდგენ პარლამენტს საკანონმდებლო ფორმულებით, რადგან როგორც სოციალიზმისთვის, ისე ქვეყნისათვის საჭიროა გამოირკვეს, თუ როგორ უცქერის სოციალიზმი ეროვნულ თავ-დაცვას და საფრანგეთის გარეშე პოლიტიკას.

ჟორესის აზრით საფრანგეთისთვის, და საერთოდ მთელ ქვეყნისთვის ეხლა საჭიროა საერთაშორისო მშვიდობიანობა. თუმცა პროლეტარიატი უარჰყოფს შოვინიზმს, ცრუ-პატრიოტიზმს, მაგრამ ის ჰქმნის ნაციონალურ თვით-დაცვას. იგი იცავს თავის ერს, თავის შრომას და უფლებებს. რა მოხდება მაშინ, თუ პროლეტარიატი უარს იტყვის ქვეყნის დაცვაზე? ამიტომ ამ უკანასკნელს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ ჯარი კლასთა ინტერესების ჟანდარმად არ გამოდიოდეს.

ჟორესი ითხოვს, რომ მხოლოდ შეიარაღებულ ნაციამ, სახალხო მილიციამ დაიცვას თავისი ნაციონალური დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ინტერესები, ხოლო არსებული ჯარი კი გაუქმდეს.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 აპრილი.

საზღვარ-გარედ.

ბრიუსელი. 18 სახლი დაიწვა. 2 მილიონი ფრანკია ზარალი.

ტოკიო. კოკუმინტეს ფინანსთა მინისტრმა შეკითხვაზე პასუხი გასცა და სთქვა, რომ 1 აპრილს სახელმწიფო ვალი 2.650.395.115 იენს შეადგენდა. აქედან 1.447.215.716 იენი გარეშე ვალია. 1.203.179.399 იენი შინაური. ამას გარდა რკინის გზების ობლიგაციები 10 მილიონისაა. მთავრობის ვალი 118.491.499 იენი, აპრილამდის 457.773.823 იენი ვალი იყო მოშორებული. აქედან გარეშე ვალისა 2733 იენი. შინაურისა 453.771.090 იენი.

ტანჟერი. ბოსანის შერიფი სულთანისა და საფრანგეთის მისიის სურვილისამებრ ფეცში გაემგზავრა; შერიფმა აჯანყებულნი მორჩილებაზე უნდა დაიყოლიოს.

ხიდნეი. რუსის ქვეშევრდომს ზენკოვიჩს, რომელსაც ეისმონის მოკვლისათვის სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი, სამუდამო ციხე მიუსაჯეს.

პეკინი. მთავრობის მიერ უცხოელებისაგან ფულის სესხმა აქაურ პრესაში უკმაყოფილება გამოიწვია. პრესა უსაყვედურებს მთავრობას, კონსტიტუციონალურ პალატის დაუკითხავად ვალი რად აიღო და ჩინეთს უცხოელთა ვალში აგდებ, სესხის საკითხებს საიდუმლოდ ინახავ და უცხოეთის ბანკირებთან საიდუმლო ხელშეკრულებასა სდებო. ხმებია, რომ მთავრობა ახალ დიდ სესხს იღებსო. გაზეთები კითხულობენ: სადამდე მიიყვანს ჩინეთს ახლანდელი მთავრობის უპრინციპობაო.

სტამბოლი. პორტამ ხელ-ახლა გაგზავნა ცეტინიეში პროტესტი ჩერნოგორელების წინააღმდეგ, ალბანელებს ნუ ეშველებითო. პორტამ მიჰმართა სახელმწიფოებს და სთხოვა ჩერნოგორიაზე გავლენა იქონიეთო.

პორტამ ამბავი მიიღო, ნოვობაზარის სანჯაკის საზღვრებზე ავსტრიელები ჯარებს აგროვებენო. ამავე დროს ალბანელთა მოძრაობა სანჯაკისაკენ იწევს. ტეზასთან ყოველივე დამოკიდებულება ისევ შესწყდა. ის ალბანელები, რომლებსაც ზარბაზნის ხმარება უსწავლიათ, წართმეულ ზარბაზნებით სარგებლობენ.

ამბავი მოვიდა, კრიტოსზე მოძრაობა დაიწყოო. გაზეთები უკმაყოფილონი არიან იმ ამბით, რომ ვითომ კრიტოსზე ერთი მაჰმადიანი მოუკლავთო.

ჰელსინგფორსი. სამოსამართლო დეპარტამენტმა ვექილ-ქალს მუნდელს სასამართლოში დამცველად გამოსვლა აუკრძალა.

ლონდონი. ქვედა პალატა. ვარშავაში დაატუსაღეს მუსიკის მასწავლებელი ინგლისელი ქალი მალეცკი. ამის შესახებ პალატაში შეკითხვა შეიტანეს. შეკითხვაზე მაკინოდეუდმა განაცხადა, მალეცკი რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდა. იგი პოლონეთის სოციალისტურ პარტიის წევრია. მივიდა თუ არა რუსეთში, მაშინვე გაუფრთხილებლივ დაიწყო მოქმედება. დიდ ბრიტანიის ელჩმა რამდენჯერმე გააფრთხილა. ელჩის ცნობაა, რომ როცა მალეცკის საქმე გაირჩევა, რუსეთიდან გააძევებენ და დაბრუნების ნებას აღარ მისცემენ. კონსულმა გარეშე საქმეთა მინისტრს ნოტითა სთხოვა, ნუ ამიკრძალავთ მალეცკის სანახავად სიარულსაო.

ბუენოს-აირესი. მდინარე რიოჩუელოს ნაპირებზე გადავიდა და ქალაქის ნაწილი და მისი მიდამოები წალეკა. 500 ოჯახი ეკლესიებსა და სკოლებში მოათავსეს.

თავრიზი. რეგულიარულ სარბაზებისა და ჟანდარმებს შორის რამდენიმე შეტაკება მოხდა, მიზეზი ის არის, რომ ქალაქიდან ადეირბეჯანის ჯარების უფროსის ამან-ყული-მირზას გაძევება სურთ.

სტამბოლი. მაჰმედ-შევკეთის მეცადინეობით კრიზისი აცილებულია. გარეშე საქმეთა მინისტრმა და ვეზირმა პალატაში განაცხადეს, ჩერნოგორიასთან მალე ნორმალური დამოკიდებულებანი გვექნებაო. ბოლგარეთთან კარგი განწყობილება გვაქვს, კრიტოსის საკითხი საშიშ არას წარმოადგენს და დიდ სახელმწიფოებთანაც მეგობრულადა ვართო. 122 ხმით წინააღმდეგ 45-სა პალატამ სამინისტროს ნდობა გამოუცხადა.

რუსეთი

ოდესა. გამოფენასთან ერთად ფიზიკურ განვითარების, სპორტის და სასწავლებლის ჰიგიენის მოღვაწეთა კრება მოხდება. ჰფიქრობენ მოაწყონ ოლიმპიური თამაშობანი და საზღვაო ჯირითი.

ტულა. გაიხსნა მექათმეობის გამოფენა და იადონების კონკურსი.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გაიხსნა მექათმეობის გამოფენა. სოფ. შავეზი დღესასწაულის პირველ დღეს, ჩირაღდანის დროს ეკლესია დაიწვა.

გომელი. მაკოშინოსა და ძენას შუა საქონლის მატარებელს თავს დაესხა შეიარაღებული ბრბო. გზის მოსამსახურეებმა ბრბო მოიგერიეს.

წვრილი ამბები

გამიჯნურებული გრაფინია.

ევროპიულ ცივილიზაციით განებივრებული გრაფინია დიუ-კლერმონტ-ტუნირს არაბების ცხოვრების გაცნობა მოესურვა. სურვილის ასასრულებლად არაბეთში დაიწყო მოგზაურობა; რასაკვირველია არა მეცნიერული ინტერესით, არამედ ცხოვრების გასაფერადოვნებლად. უდაბნოში მოგზაურობის დროს, გრაფინია ბედუინების ერთს თემს ეწვია. აქ გაიგო, რომ მათი მეთაური, თავადი ხიზარ-მარშადი ოსმალელთა ქარავანს დასცემოდა, მაგრამ ოსმალებს დაეჭირათ და ხომის ციხეში ჩაესვათ. გრაფინიამ ამ მეთაურის გაცნობა ისურვა. ბევრს ეცადა, ვიდრე ოსმალეთის მთავრობა ხიზარ-მარშადის სანახავად ნებას დართავდა. არაბის ვაჟკაცურმა სილამაზემ გრაფინია მოხიბლა და ძილი გაუკრთო. გამიჯნურებულმა გრაფინიამ თავის სატრფოს განთავისუფლება გადასწყვიტა. ღვთის მადლით ოსმალეთში ქრთამის გაღება ადვილია. ოსმალელი მოხელეებს ქრთამი შეესისხლ ხორცა და რაც უნდა დიდი საქმე იყოს, მაინც ადვილად მოისყიდის ადამიანი. გრაფინიამ 100.000 მან. დახარჯა და თავისი სატრფო ციხიდან დაიხსნა. არაბი ისევ თავის ქვეყანაში წავიდა და გრაფინიაც უკან დაედევნა. მაგრამ ქალმა აქ ვერ გაძლო და ხიზარს ურჩია, ევროპაში გამომყევო. ხიზარმა უარი უთხრა, მიუხედავად იმისა, რომ გრაფინია უყვარდა. ამ უარმა ქალს ჟინი გაუძლიერა. იგი პარიზში დაბრუნდა და თავის აგენტების შემწეობით სატრფო, რომელსაც ევროპის განათლება თვალითაც არ ენახა, პარიზში გაიტყუა. აქ „ველურს" ფუფუნება და განცხრომა დახვდა. იგი დიდ-ციხე დარბაზში სცხოვრობდა, ევროპიულად ეცვა, ავტომობილით დაჰქროდა თეატრებსა და კონცერტებში. მოახლეებად ზანგები ჰყავდა და ყოველი მისი უბრალო სურვილი თვალის დახამხამებაზე სრულდებოდა, მაგრამ „საწყალ ველურს" ეს „კულტურული" ცხოვრება მოჰბეზრდა. გულმა სამშობლოსაკენ გაუწია. გრაფინიამ ცრემლითა და კოცნით გააცილა თავისი სატრფო, მაგრამ თითონაც ვეღარ გაძლო, უკან დაედევნა. ეხლა იგი აპოლოშია. საუცხოვო ნებივრობაში სცხოვრობს და აუარებელ აგენტების დახმარებით სატრფოს დაეძებს. მთელი დღე სახლშია; გარედ არ გამოდის და სულ ამბების ლოდინშია. აგენტებმა შეატყობინეს, თავადი ხაზარ-მარშადი ამ ერთი თვის წინედ იესენში წავიდა და იქ თავის თანამოაზრეებთან ერთად ოსმალებს ებრძვისო. გრაფინიას გადაუწყვეტია, რათაც უნდა დაუჯდეს, მონახოს თავისი სატრფო.

უბედურება ნიუ-იორკში. (ამერიკა)

მარტის პირველ კვირას ნიუ-იორკში საშინელი უბედურება დატრიალდა: ცეცხლი გაუჩნდა 10 სართულიან სახლს, სადაც ბამბეულობის დიდი ქარხანა იყო მოთავსებული და აუარებელი ქალები მუშაობდნენ. ცეცხლი ისე მსწრაფლ მოედო სახლს, რომ თავის გადარჩენა შიგ მყოფთ ყველამ ვერ მოასწრო და **ას-ორმოცდაათი ქალი დაიწვა.**

ამ ამბავმა მთელი ამერიკა აალაპარაკა. მუშათა კავშირმა და სოციალისტთა პარტიამ დიდი მიტინგი გამართა. მიტინგის ერთი მხრით დაღუპულთა პატივსაცემლად გაიმართა, მეორე მხრით—უბედურების მიზეზთა საწინააღმდეგოდ; ყველას ერთი რამ აფიქრებს: რად არის, რომ ყოველნაირი უბედურება უეჭველად ამერიკაში უნდა მოხდეს. რკინის გზები აქ იმსხვრევა, სახლები აქ იქცევა ან იწვება, აფეთქებანი აქა ხდება. ეს უბედურება მით უფრო ძლიერდება, რომ ამერიკაში, ბინის სიმძვირისა გამო ხალხი ძალიან მჭიდროთა სცხოვრობს. ნიუ-იორკში ადამიანი შეხვდება ისეთი სახლებს, რომ თვალს ვერ აუწვდენს. ათ და ოც სართულიანი სახლები აქ ჩვეულებრივი მოვლენაა. მრავალია აგრეთვე 30 და 40 სართულიანები და ამ ბოლოს დროს დაიწყეს 50 სართულიან ქარხნის აშენება.

მიტინგზე ვერ გამოირკვა—პროტესტი ვისთვის გამოეცხადებინათ. ვერ გაიგეს სად არის მიზეზი ამ უბედურებისა. ქალაქის სამშენებლო უწყება უბედურებას საქარხნო ინსპექციას აბრალებს, საქარხნო ინსპექცია—პოლიციას, პოლიცია—ცეცხლის მქრობლებს, ცეცხლის მქრობელები—კანონებს.

მიტინგზე სოციალისტებმა უფრო ნამდვილი მიზეზი იპოვეს: **კაპიტალის გაუმაძღრობა.** მართლაც და შეუძლებელია ამ უბედურების თავიდან აცილება, ვიდრე კაპიტალი მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ იმატოს. ამოდენა უშველებელ შენობებში, სადაც ქარხნებია მოთავსებული, თითქოს ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ უბედურების თავიდან აცილება ადვილია, ნამდვილად კი ყველაფერი მხოლოდ მოსაჩვენებლად და თვალის ასახვევადაა გაკეთებული.

წერილი რედ. მიმართ

„ტფ. ლისტ."-ში დაბეჭდილია ექიმ ქიქინაძის წერილი რედაქციის მიმართ. ექიმი სხვა გაზეთებსაცა სთხოვს გადაბეჭდონ მისი წერილი.

„ბ. რედაქტორო, გთხოვთ თქვენს გაზეთში დასტამბოთ შემდეგი: „ტფ. ლისტ." 74 №-ში „კუტ. ჟიზ." გადაბეჭდილია ცნობა „სადათას ძილი". ამ ცნობიდანა სჩანს, რომ ვითომ ჩემი ძმა სტუდენტი აბესალომ ნიკოლოზის ძე ქიქინაძე, რომელიც 208 ქვეითა ჯარის ლორიის პოლკის საავადმყოფოში გარდაიცვალა, კი არ მომკვდარა, არამედ სძინავსო. ჩემის მშობლებისა და ჩემდა საუბედუროდ, უნდა ვსთქვა, რომ ეს ამბავი ტყუილია. ჩემი ძმა მართლა გარდაიცვალა. მე მოვიყვან იმ ექიმების აზრს, რომლებიც ჩემ ძმას ავადმყოფობის დროს სწამლობდნენ. ესენი იყვნენ: პოლკის ექიმი ციფანსკი, ექიმი რუნიჩი, საოლქო ექიმი ანტავი. ყველა ამათ ცდა არ დაუკლიათ, რომ ჩემი ძმა სიკვდილისაგან დაეხსნათ, მაგრამ მათმა გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ჩემი ძმა მენინგიტით იყო ავად და მისი გადარჩენა ყოვლად შეუძლებელი გახდა. მაშასადამე, როგორც ექიმთა კონსილიუმი გვიჩვენებს ჩემი ძმა უეჭველად გარდაიცვლებოდა. მართლაც კონსილიუმის დღე-ნახევრის შემდეგ, უბედურმა სული დალია.

იქნება აბესალომი არ მოკვდაო?—ჰკითხულობს საზოგადოება. ამაზე უნდა ესეთი პასუხი გავსცე: შეიძლება ყოფილა ასეთი შემთხვევები, როცა ძაძინებული კაცი გარდაცვლილად ჩაუთვლიათ და დაუმარხავთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ შეცდომა ვერ შეგვეპარებოდა, იმიტომ, რომ გარდაცვალების შემდეგ, ჩემი ძმა მთლად გაცივდა და სიკვდილის ყოველივე ნიშნები გამოაჩნდა. აღარც სუნთქავდა, აღარც გული უცემდა. ამას გარდა, მიცვალებული შიგნიდან სულემათი და გარედან ფორმალინით გავჟღინთეთ, რომ არ გახრწნილიყო. ამიტომაა, რომ მიცვალებული აქამდის არ გახრწნილა. ეხლა მგონი ეჭვს გარეშე უნდა იყოს ჩემი ძმის გარდაცვალება. ვურჩევ მშობლებს დაასაფლავონ იგი და სიცოცხლეს ნუ იმწარებენ.

ქვეითა ჯარის 208 ლორიის პოლკის უმცროსი ექიმი ქიქინაძე.

—

26 მარტს, დ. ხონში, სამოქალაქო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გაიმართა საცეკვაო საღამო ვოკალური, მუსიკალური და ლიტერატურული განყოფილებით, რომელსაც საზოგადოება საკმაოთ დაესწრო. წმინდა შემოსავალი დარჩა 86 მან. დიდს მადლობას ვუწირავთ ს. ქ. ლორთქიფანიძისას, ეკ. ვ. ბახტაძისას, ა. ი. სოლოღუბისას, ნ. ი. სანოძისას, ა. ა. ნიკოლაევს, ან. ვ. გაუდეკს და ყველა იმ პირთ, რომელნიც დაგვეხმარენ ამ საღამოს გამართვაში

სკოლის გამგე **ს. მამალაძე.**

—

ბატონო რედაქტორო! „სახ.-გაზ"-ს 273 №-ში მოთავსებულ ჩემ წერილში (რედაქციის მიმართ) აღნიშნული 11 მან. 15 კაპ., რომელიც შეუკრიფე და გაუგზავნე ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს ალ. კ.-ძე ოსილოვს, მან უკან დამიბრუნა პატრონთათვის დასარიგებლად, რადგანაც მისი შეკრეფა მის და დაუკითხავად მომიხდა.

ფული უკვე დაურიგე თავ-თავიანთ პატრონებს, რისთვისაც გთხოვთ, ბ. რედაქტორო, ნება მომცეთ თქვენი გაზეთის საშუალებად მახლობელ №-ით ვაცნობო ეს ხარკოვის სტუდენტს ბ ნ ალ. ასილოვს. **მეხსი კონსტანტინე გვარამაძე.**

—

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ უღრმესი მადლობა გამოვუცხადო თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ილია ანტონის ძე მელიას, რომელმაც 1910 და 1911-ს წლებში გამოუწერა ჩემდამი რწმუნებულს საეკლესიო-სამრევლო სკოლას საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი" და ამასთანავე ნივთიერ შემწეობასაც დაჰპირდა.

გამგე საეკლესიო-სამრევლო სკოლისა მღვდელი **არსენი ჯალაღანიძე.**

—

პასუხად მ. ს. გამრეკელს.

მეტად გაჰკვირვებია მ. ს. გამრეკელს ჩემ კორესპონდენციაში ნახსენები „კოდის პური" და განმარტებას ითხოვს. მიკვირს, რა არის აქ განსამარტი? განა ყველა ჩვენგანმა, ან თითონ მ. ს. არ იცის, რომ ეს ასეა? განა არ იცის, რომ კოდის პურს იღებენ და თავის დროზედაც შეგროვებას სცდილობენ, რომ წლის სამყოფი მაინც მოვაგროვოთო. ეს ასეა, მიბრძანდით კალოობას სოფლად და ყველა თქვენგანი იხილავს მოსიარულე მღვდელ-დიაკვანს პურის აკარეფად, სადაც კი დაწესებულია—„კოდის პურის" აკრეფა. „კოდის პური" რომ ვახსენე, ამითი დამცირება კი არ მინდოდა მათი, მხოლოდ ისა ვსთქვი, რომ თუ „კოდის პურის" შეგროვების დროს არ ივიწყებენ ხალხსა და თავის სარგებლობისთვის იგონებენ, რატომ მათ კეთილ-დღეობაზე და შველაზე არა ზრუნავენ მეთქი?! კიდევ ვიმეორებ, რომ სოფლად უეჭველი გლეხ-კაცობის პატრონები და მათი გზაზედ დამყენებლები უნდა იყვნენ უპირველესად მღვდლები და მასწავლებლები, მათ უნდა აუხსნან, შთააგონონ რაც არის მათთვის საჭირო. აი, ჩემი წერილის მიზანი ეს იყო, უკეთუ ამ განმარტებით არ დაკმაყოფილდება მ. ს. გამრეკელი, მაშინ იძულებული ვიქნები ჩამოვთვალო თავიდან ბოლომდის რა ღვაწლი მიუძღვით ს. მეჯვრისხევის მღვდლებს საზოგადოდ, ხალხის წინაშე, რადგან მე ვწერდი საზოგადოდ და არა კერძოდ ვისმეზე. **შინ.**

სპორტი

ფრანგული ჭიდაობა

13 აპრილს იჭიდავა ოთხმა წყვილმა. პირველმა რიგში ორი მოქნილი მსუბუქი მოჭიდავე ბული და არვიდმაიერი შეხვდა ერთმანეთს. ტეხნიკით და სიმარდით ბული სჯობნის და ამარცხებს მოპირდაპირეს 14 წ. და 3 წ. შემდეგ იჭიდავეს საქვეყნო ჩემპიონმა შემიაკინმა და პაწაწა სხლარტმა გუბერმა. შემიაკინი ბუმბულივით აფრიალებს ჰაერში გუბერს და შემდეგ უკანა წელში შევარდნილს ამარცხებს 1 წ. შემდეგ. მესამე წყვილი ძალობითი ჭიდაობა იყო. ორი გამოჩენილი ფალავანი ჩურაკოვი და სტუდენტი ვ. ბ. დიდხანს წვალობენ „პარტერში" მაგრამ 20 წ. განვლო და მოჭიდავენი გააშველეს. უკანასკნელ წყვილის ჭიდაობამაც არ გასტანა დიდხანს; აქ ბუმბერაზი მილლერი შეხვდა 17 წლის მალის, რომელიც ფრთხილად თითქოს ეშინია არაფერი ატკინოსო, დააწვინა ხალიჩაზე.

განცხადებანი

მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ტფილისის საათზეა ნავარაუდევი)

ტფილისიდან გადიან:

ბათუმისკენ: სახალხო მატ. N 5, დილ. 8 ს. 10 წ., გორში ჩადის 11 ს., მიხაილოვში 12 ს. 33 წ. დღისით.; რიონში—4 ს. 48 წ. დღე.; ბათუმში—ჩავა ხაღ. 9 ს. 20 წ. საფოსტო N 3,—ნაშუადღ. 2 ს. 9 წ., გორში ჩადის 4 ს. 57 წ. ნასადილ.; მიხაილოვში—6 ს. 18 წ. საღ.; რიონში—10 ს. 59 წ. საღ.; ბათუმში ჩად.—4 ს. 28 წ. მეორე დილ. სახალხო მატ. N 7, საღამ. 11 ს. 53 წ., გორში ჩადის ღამ. 2 ს. 29 წ. მიხაილოვში—ღამ. 3 ს. 53 წ., რიონში მეორე დღეს დილით—8 ს. 33 წ., ბათუმში ჩადის დღისით 1 ს. 26 წ.

შერეული მატარ. N 107, მე-4 კლასით—ღამის 1 ს. 5 წ., გორში ჩადის ღამ. 3 ს. 51 წ., მიხაილოვში—მეორე დღეს დილით 6 ს. 51 წ., ბათუმში ჩადის—საღ. 8 ს. 33 წ.

ბაქოსკენ: N 2, სწრაფ.—დილ. 9 ს. 28 წ., ბაქოში ჩადის საღამოს 11 ს. 26 წ. **სახალხო მატ.** N 6, ნასადილევ. 3 ს. 35 წ გადის. ბაქოში ჩადის მეორე დღეს დილ. 9 ს. 7 წ. **საფოსტო მატ.** N 4, გადის საღ. 10 ს. 25 წ., ბაქოში ჩადის მეორე დღეს ნაშუადღ. 5 ს. 21 წ.

შერეული, N 106, მე-4 კლასით, გადის დილ. 4 ს. 18 წ., ბაქოში ჩად. საღ. 5 ს. 21 წუთზე.

ბორჯომისკენ: სახალხო N 9—66. ნაშუადღ. 3 ს. 28 [illegible], ნარევი მატ. მე-4 კლასით დილ. 5 ს. 48 წ.

ერევნისკენ: სახალ. მატ. N 78—79, გადის ნაშუადღ, 4 ს. 33 წ.

ტფილისში მოდიან:

ბაქოდან: N 6, სწრაფი საღ. 10 ს. 55 წ. სახალ. N 5, დილ. 7 ს. 25 წ. N 3, საფოსტო ნაშუადღ. 1 ს. 9 წ., N 107, ნარევი მე-4 კლასით—შუადღ. 12 ს. 1 წ.

ბათუმიდან: სახალხო N 6, ნაშუადღ. 2 ს. 46 წ., საფოსტო N 4, საღ. 9 ს. 25 წ. სახალხო N 8, დილ, 8 ს. 45 წ. ნარევი N 106, მე-4 კლასით, ღამ. 3 ს. 16 წ.

ჯულფიდან: საფ. N 72—73, დილით ს. 36 წ.

ერევნიდან: სახალხ-საქონ. N 80—81, საღ. 7 ს. 1 წ. ნარევი N 110—111 მე-4 კლასით საღ. 10 საათზე.

ბორჯომიდან: სახალხო N 61—10, დილით 7 ს. 35 წ.

შენიშვნა; ნარევი მატარებლის მე-4 კლასის ვაგონებს NN 106, 107, 108, 109, 110 და 111 საჭიროებისა-დაგვარად მიაბამენ ხოლმე მატარებელს.

ვ. ყიფიანის დრამა
სამეგრელოს მთავარი
ლევან
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა.
ფასი ორი აბაზი
იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

დოქტ. ნავასარდიანისა,
უოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან· და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გეევსკაია-ენველი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. ვარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
11—12 ს. 606 წამლობა,
კონსულტატიურად.
რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.
(წ. (1163—14)

მუხრანის ქერძო
სამკურნალო
გ ა ი ხ ს ნ ა
მუდმივის საწოლებით.
Тифлисъ—Песковская ул. 9. и 48 Цицiановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.
ავადმყოფებს უოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.
ნ. მ. ახმახოვი—(მედ. ექ.), ყურისა, [illegible] ს სნეულ. 11—12 საათ.
[illegible]ოვი—(მედიც. ექ.), ათა[illegible] და კანის სნეულ. 1 ნახ. [illegible]
ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.
ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.
ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.
ა ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.
ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.
ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.
მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.
გ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.
ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.
ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით.
დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.
სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—60)

„სამპსონინი"
თმებისათვის
საპონი ექ. დიდიძისა
იყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე).
(წლ.—1152—15)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა
სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
მ ა ღ ა ზ ი ა ს
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
ზიზილალა
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა
გირვანქა 1—40 2 მან.—2 მან. 40 კ.
წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.
და ბელა-რიბიც 50 კ.
აგრე[illegible] ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—1053—)
საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა
საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

მადათოვის კუნძული სტამბა „ხორაპანი"

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.